GCF GEFF რეგიონალური - საქართველო - თიბისი ბანკი III

მდებარეობა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	57524
ბიზნესის სექტორი:	ფინანსური ინსტიტუტები
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოს დაცვის კატეგორია:	FI
დამტკიცების თარიღი:	4 ნოემბერი, 2026
სტატუსი:	საწყისი შესწავლის ეტაპი, ელოდება საბოლოო განხილვას

პროექტის აღწერა

50 მილიონამდე აშშ დოლარის ოდენობის პირველი რიგის არაუზრუნველყოფილი სესხი სს „თიბისი ბანკისთვის“ (თიბისი), რომლის 75%-ს (37.5 მილიონამდე აშშ დოლარს) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ხოლო 12.5 მილიონამდე აშშ დოლარს მწვანე კლიმატის ფონდი (GCF) გამოყოფს, GCF-ის „მწვანე ეკონომიკის დაფინანსების ფონდის“ (GEFF) რეგიონული პროგრამის ფარგლებში. სესხის დაფარვის ვადაა 5 წელი, 2-წლიანი საშეღავათო პერიოდით.

პროექტის მიზნები

სესხის თანხა მოხმარდება ადგილობრივი ფიზიკური პირების, მცირე და საშუალო ბიზნესებისა და კორპორაციების მიერ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის

ტექნოლოგიებში ინვესტიციების დაფინანსებას, GEFF-ის რეგიონალური (საქართველოში განხორციელებული პროგრამა) პოლიტიკის სტანდარტებისა და ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად, გენდერული საკითხების გათვალისწინებით. სესხიდან მიღებული თანხის 100 პროცენტი მოხმარდება „მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის“ (GET) ინვესტიციებს GET სახელმძღვანელოს შესაბამისად.

გარდაქმნის ეფექტი

ETI ქულა: 65

პროექტი მხარს უჭერს „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლას ფინანსური შუამავლებისათვის დაფინანსების უზრუნველყოფით და ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, რომლებიც, თავის მხრივ, დააფინანსებენ კერძო სექტორის ინვესტიციებს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მაღალეფექტიან ტექნოლოგიებსა და გადაწყვეტებში. პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში დაბალნახშირბადიან და კლიმატის ცვლილების მიმართ მედეგ ეკონომიკაზე გადასვლას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

სს „თიბისი ბანკი“

„თიბისი ბანკი“ („თიბისი“) წამყვანი უნივერსალური ბანკია საქართველოში, რომელსაც ყველა ძირითადი მაჩვენებლით ბაზრის დაახლოებით 35-40% უჭირავს. „თიბისი“ მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრს — მათ შორის სავალუტო ოპერაციებს, არაფინანსურ მხარდაჭერას ბიზნესის განვითარებისთვის, ხოლო შვილობილი კომპანიების მეშვეობით ისეთ სპეციალიზებულ ფინანსურ გადაწყვეტებს, როგორებიცაა ლიზინგი, საბროკერო და საინვესტიციო-საბანკო მომსახურება. „თიბისი“ ემსახურება საცალო, კორპორაციულ და მცირე, საშუალო და მიკრო ბიზნესის (MSME) კლიენტებს და მართავს ფართო სადისტრიბუციო ქსელს, რომელიც დაახლოებით 119 ფილიალსა და ციფრულ არხს მოიცავს.

EBRD-ის დაფინანსების ჯამი

37,500,000.00 აშშ დოლარი.

პროექტის მთლიანი ღირებულება

50,000,000.00 აშშ დოლარი.

დამატებითი ფაქტორები

პროექტის ფარგლებში დამატებითი ფასეულობების ძირითადი წყაროებია:

(i) **დაფინანსების სტრუქტურა,** რომელიც ბაზარზე ფართოდ ხელმისაწვდომი არ არის (საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსება ხანგრძლივი საშეღავათო პერიოდით);

(ii) **დაფინანსების ინოვაციური სტრუქტურები ან/და ინსტრუმენტები,** კერძოდ, მწვანე დაფინანსების ინსტრუმენტი, რომელიც დაფინანსების სტრუქტურაში ისეთ ასპექტებს აერთიანებს, როგორებიცაა კლიმატი, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტანდარტები ან/და კლიმატური და ESG რისკების გათვალისწინება;

(iii) **სტანდარტების დაწესება** პროექტებისა და კლიენტებისთვის უფრო მაღალი სტანდარტების მიღწევაში დახმარების გზით, EBRD-ის გამოცდილების გამოყენებით ენერგეტიკის, რესურსების ეფექტურობისა და კლიმატის მდგრადობის დაფინანსების მიმართულებით, ენერგეტიკისა და კლიმატის აუდიტის ჩატარების, ტექნოლოგიების მინიმალური სამუშაო სტანდარტების, კლიმატთან დაკავშირებული სტრატეგიებისა და პოლიტიკის, ასევე მონიტორინგის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემების უზრუნველყოფის მეშვეობით და ა.შ.

(iv) **სტანდარტების დაწესება** EBRD-ის გამოცდილების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიურობისა და გენდერული თანასწორობის უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვას (მაგ. ქალებისათვის ხელმისაწვდომობის გაზრდა მწვანე დაფინანსებაზე).

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები

მინიჭებული აქვს კატეგორია FI (ESP 2024). „თიბისი ბანკი“ EBRD-ის მოქმედი კლიენტია და ამჟამად აკმაყოფილებს EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების (ESR) მე-2, მე-4 და მე-9 პუნქტებს EBRD-ის მიმართ არსებული ვალდებულებების ფარგლებში.

მოსალოდნელია, რომ პროექტს ექნება დაბალი გარემოსდაცვითი და სოციალური (E&S) რისკი. ძირითადი E&S რისკები უკავშირდება დაფინანსებული ქვეპროექტების პოტენციურ ზემოქმედებასა და მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებულ რისკებს. E&S-ის წინასწარმა კვლევამ (due diligence) აჩვენა, რომ კლიენტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა (ESMS) შეესაბამება დასაფინანსებლად შერჩეული ქვეპროექტების რისკის პროფილს. „თიბისი ბანკმა“ ასევე უნდა გააგრძელოს ინფორმაციის საჯაროდ გამჟღავნება საკუთარი ESMS-ის შესახებ ESP 2024-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ტექნიკური თანამშრომლობა და საგრანტო დაფინანსება

ტექნიკური მხარდაჭერა: პროექტი ითვალისწინებს „მწვანე კლიმატის ფონდის“ (GCF) მიერ დაფინანსებული ტექნიკური თანამშრომლობის (TC) პაკეტს. ტექნიკური თანამშრომლობის მიზანია დაეხმაროს „თიბისის“ შესაძლებლობების განვითარებაში, პროგრამის განხორციელებასა და მონიტორინგში. საჭიროებისამებრ, კონსულტანტი შეაფასებს და გადაამოწმებს ქვემსესხებლების მიერ ინვესტიციების ტექნიკურ განხორციელებას. კონსულტანტი საცალო კლიენტებს, მცირე და საშუალო ბიზნესებსა და კორპორაციებს გაუზიარებს პრაქტიკულ გამოცდილებას და აუმაღლებს ცნობიერებას კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის

ტექნოლოგიების შესახებ, ასევე მხარს დაუჭერს პროექტის შეფასებას და ქვემსესხებლებს ყველაზე ოპტიმალური ტექნოლოგიების შერჩევაში დაეხმარება.

არატექნიკური: შერეული შეღავათიანი დაფინანსება: პროექტს ახლავს არატექნიკური საგრანტო დაფინანსება GCF-ის მხრიდან შეღავათიანი თანადაფინანსების (თანასესხების) სახით. საკრედიტო ხაზი მოიცავს EBRD-ის წილს (75%) და GCF-ის წილს (25%), შესაბამისად, 37.5 მილიონ აშშ დოლარსა და 12.5 მილიონ აშშ დოლარს.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

მაია კაჭარავა
IFM@tbcbank.ge
+(995 32) 227 27 27
https://tbcbank.ge/
მარჯანიშვილის ქ 7, თბილისი, საქართველო 0102

გარდაქმნის ეფექტი

დეტალური ინფორმაციის გაცნობა EBRD-ის გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებულ მიდგომაზე შესაძლებელია აქ.

ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე დაუკავშირდით კლიენტ კომპანიას. EBRD-თან ბიზნეს შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად (რაც არ უკავშირდება შესყიდვებს) დაუკავშირდით:

ტელ: +44 20 7338 7168

ელ. ფოსტა: **projectenquiries@ebrd.com**

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისთვის ეწვიეთ **EBRD Procurement**
ტელ.: +44 20 7338 6794

ელ. ფოსტა: **procurement@ebrd.com**

ზოგადი საკითხები

კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის საშუალებით.

გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ითა და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (ESR-ები) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და ESR-ები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომ კლიენტებმა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ, და შექმნან საჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან საკითხის წამოჭრის, საჩივრების მიღებისა და მართვის მიზნით, უფრო კონკრეტულად, კლიენტისა და პროექტის გარემოს დაცვისა და სოციალურ საქმიანობასთან (E&S) დაკავშირებით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD ასევე მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გააზიარონ ინფორმაცია პროექტების რისკებისა და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ უკუგებაზე.

დეტალური ინფორმაცია EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია ESP-ში.

ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის მთავარი შესაბამისობის ოფიცრის ოფისი (OCCO) ხელს უწყობს კარგ მმართველობას და უზრუნველყოფს ბანკის საქმიანობის პროცესში უმაღლესი სტარდარტების შესრულებას საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში ტარდება კომპლექსური ტექნიკური კვლევა იმისათვის, რომ პროექტებმა არ შექმნან პრინციპების დარღვევის, ან რეპუტაციის შელახვის რისკი ბანკისათვის. EBRD თვლის, რომ პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება პროექტის შეფასებისა და დამტკიცების ეტაპზე, ყველაზე ეფექტური საშუალებაა საბანკო ტრანზაქციების მთლიანობის უზრუნველსაყოფად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და ხელს უწყობს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგს.

OCCO ამასთანავე პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიებაზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ნებისმიერმა ადამიანმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუგზავნოს მთავარ შესაბამისობის ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე compliance@ebrd.com. OCCO შეისწავლის და რეაგირებას მოახდენს ყველა შეტყობინებულ საკითხზე. ის განიხილავს ყველა შემოსულ შეტყობინებას. ანგარიში შეიძლება დაიწეროს ბანკის რომელიმე სამუშაო ენაზე, ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ბანკი საქმიანობს. ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის დოკუმენტით, რომელიც ძალაში შევიდა 20250 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის წარმოების გზები, ცნობიერების ამაღლებისა და ბანკის სტრატეგიის,

პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრების ხელშეწყობის მიზნით. EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად, გთხოვთ, ეწვიოთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის გამოყენებით.

პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმი (IPAM)

თუ კლიენტთან, ან ბანკთან, გარემოს დაცვის, სოციალური ან საჯაროობის პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგალითად, კლიენტის მიერ პროექტის დონის საჩივრების მექანიზმის საშუალებით, ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD–ის პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმს (IPAM).

IPAM დამოუკიდებელად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს, ან შესაძლოა, გამოიწვიონ ზიანი. მექანიზმის მიზანია - პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროობის საკითხების გადასაჭრელად; ასევე, იმის დადგენა, არის თუ არა ბანკი შესაბამისობაში გარემოს დაცვით და სოციალური პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებულ დებულებებთან; და სადაც ეს რელევანტურია, აღნიშნულ პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობის აღმოფხვრა და ბანკის მიერ მომავალი შეუსაბამობის თავიდან აცილება.

გთხოვთ, ეწვიოთ პროექტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელი მექანიზმის ვებგვერდს, IPAM–ისა და მის მანდატის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად, ასევე, იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა წარადგინოთ მოთხოვნა განსახილველად; ან დაუკავშირდით IPAM-ს ელ.ფოსტით **ipam@ebrd.com** , რომ მიიღოთ ინსტრუქცია და ინფორმაცია IPAM–ისა და მოთხოვნის გაგზავნის შესახებ.

ეს დოკუმენტი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ინგლისურ ენაზე, ზემოთ მითითებული პროექტის საიდენტიფიკაციო ნომრითა და თარიღით გამოქვეყნებული პროექტის შემაჯამებელი დოკუმენტის ორიგინალის თარგმანია. ინგლისურენოვანი დედნის ტექსტსა და ამ თარგმანს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენაზე შედგენილ პროექტის შემაჯამებელ დოკუმენტს.